



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის  
ნ ე ტ ი

№ 19/00.

„ 23. ” ივნის 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ პ ი ც ვ ბ”

ეკონომიკური სამინისტროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

036060 გოცირიძე  
036060

23 „ 036060 “ 2011 წელი

ვგ. N2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების

ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ

## შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი .....	გვ <sup>3</sup>
ნაწილი II – ძირითადი ტექსტი .....	გვ <sup>4</sup>
 1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა .....	გვ <sup>4</sup>
ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა .....	გვ <sup>4</sup>
ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა .....	გვ <sup>6</sup>
გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა .....	გვ <sup>7</sup>
დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა .....	გვ <sup>7</sup>
 2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა .....	გვ <sup>8</sup>
 3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისმიებების შედეგების მდომარეობა .....	გვ <sup>13</sup>
 4. ნაწილი - I I I აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი .....	გვ <sup>14</sup>

## ნაწილი I – შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 28 თებერვლის N19/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) აუდიტორები ირაკლი გოდუაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და თამარ ფიცხელაური.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური, კამერალური ანალიზი.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0108 ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12 ტელ: 306261, 306025. ვებ გვერდი - <http://www.economy.ge>

აუდიტი დაიწყო 2011 წლის 28 თებერვალს და დამთავრდა 2011 წლის 21 მარტს.

შემოკლებანი:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – სამინისტრო;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;

საქართველოს კონტროლის პალატა

5. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი – საბიუჯეტო კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;
7. საქართველოს პრეზიდენტი - პრეზიდენტი;
8. საქართველოს მთავრობა - მთავრობა.


**ნაწილი II – ძირითადი ტექსტი**

**1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა**

**1.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:**

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა

თავდაპირველი წლიური საბიუჯეტო კანონით, სამინისტროს ბიუჯეტი 23 836,5 ათასი ლარით განისაზღვრა. თუმცა, წლის განმავლობაში საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მან - 71 263,60 ათასი ლარი შეადგინა.



წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგენილ იქნა, რომ 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დამტკიცებული ბიუჯეტის 91-ჯერ დაზუსტებას. მათ შორის, სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის

საქართველოს კონტროლის პალატა

განხორციელებული ჰქონდა 42 ცვლილება. განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამინისტროს დაზუსტებულმა ასიგნებამ 78 253,55 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტზე 6 989,95 ათასი ლარით მეტი.

გადასახდელების სახეების მიხედვით, ასიგნებათა შესრულების ანალიზით დადგინდა:

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება % (3/2*100)
1	2	3	4	5	6
ხარჯები	44 790,5	42 455,5	42 732,0	-276,5	94,8
მრომის ანაზღაურება	12 460,0	12 390,5	12 390,5	0,0	99,4
საქონელი და მომსახურება	29 885,5	28 876,9	29 153,5	-276,6	96,6
სუბსიდიები	84,0	84,0	84,0	0,0	100,0
გრანტები	242,0	205,4	205,4	0,0	84,9
სოციალური უზრუნველყოფა	264,9	237,1	237,1	0,0	89,5
სხვა ხარჯები	1 854,1	661,6	661,6	0,0	35,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 481,5	3 466,3	-	-	99,6
ფინანსური აქტივების ზრდა	29 937,3	29 937,3	-	-	100,0
ვალდებულებების კლება	44,2	19,2	-	-	43,4

შენიშვნა:

1. სხვაობა „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში 276,6 ათასი ლარის ოდენობით გამოწვეულია: მივლინებების ქვემუხლში ავანსის სახით გაცემული 5,1 ათასი ლარით და ასევე, 26,5 ათასი ლარის ჩამოწერით, ოფისის ხარჯების ქვემუხლში ჩამოიწერა 183,8 ათასი ლარის ღირებულების მარაგში და ასევე, შემოსავალში (რომელიც ჯერ არ ჩამოწერილა) აღებულ იქნა 38,3 ათასი ლარის ღირებულების საქონელი,

## საქართველოს კონტროლის პალატა

წარმომადგენლობითი ხარჯების ქვემუხლში 36,2 ათასი ლარის მარაგის ჩამოწერით და ასევე, შემოსავალში (რომელიც ჯერ არ ჩამოწერილა) აღებულ იქნა 13,3 ათასი ლარის ღირებულების საქონელი, რჩილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ქვემუხლში 1,4 ათასი ლარის ღირებულების საქონლის ჩამოწერით და ასევე, 11,6 ათასი ლარის ღირებულების საქონლის შემოსავალში აღებით, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ქვემუხლში 42,4 ათასი ლარის ღირებულების საქონლის ჩამოწერით და ასევე, 0,5 ათასი ლარის ღირებულების საქონლის შემოსავალში აღებით, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ქვემუხლში 185,3 ათასი ლარის ღირებულების საქონლის ჩამოწერით და ასევე, 130,2 ათასი ლარის ღირებულების საქონლის შემოსავალში აღებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ მივლინებებზე გაწეულ იქნა 1 157,3 ათასი ლარი. მათ შორის, სამინისტროს აპარატის მიერ გაწეულ იქნა 650,3 ათასი ლარი. ამასთან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებზე - გაწეულ იქნა 608,5 ათასი ლარი, რომელიც დიაგრამის სახით მოცემულია ქვემოთ:



- გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

საქართველოს კონტროლის პალატა

წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში მხარჯავდა წესებულებას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 1 845,3 ათასი ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - 21 417,61 ათასი ლარი და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 100,0 ათასი ლარი.

რაც შეეხება ათვისების საკითხს, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ათვისებული თანხების ოდენობამ 1 844,9 ათასი ლარი შეადგინა, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ათვისებული თანხების ოდენობამ - 20 642,81 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები სრულად იქნა ათვისებული.

გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშვებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სამინისტროს 2010 წლის განმავლობაში გრანტის სახით სახსრები არ მიუღია.

დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა

განხილულია მე-2 საკითხი.

### 1.2. რეკომენდაციები:

1. სამინისტრომ შეიმუშავოს ხარჯების კონტროლის სახელმძღვანელო მითითებები შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფისათვის;
2. წლის განმავლობაში განხორციელებული ბიუჯეტის დაზუსტების რაოდენობიდან გამომდინარე, სამინისტრომ მეტი ყურადღება დაუთმოს ბიუჯეტის დაგეგმვას;
3. პროტოკოლის სამმართველომ მოახდინოს პროტოკოლით გათვალისწინებული ვიზიტის პროგრამებში დროული და შესაბამისი ცვლილებები, ასევე პროტოკოლის

საქართველოს კონტროლის პალატა

სამმართველომ იქონიოს მოქნილი ურთიერთობა (კომუნიკაცია) საფინანსო  
სამსახურთან;

4. მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ მოახდინოს ანგარიშის  
მომზადება მივლინების შესახებ;

5. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წარმომადგენლობით ხარჯებში  
გასატარებელ პირველადი დოკუმენტების სისწორესა და შესაბამისობას;

6. საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით, საქართველოში  
წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას, ჩამოსულ სტუმრებს აუნაზღაურდეთ  
მხოლოდ სასტუმროს ნომრის ღირებულება და არა სასტუმროს დამატებითი  
მომსახურებები;

7. მივლინების შესახებ სამართლებრივი აქტის მომზადებისას, პერსონალის  
მართვის სამმართველომ უზრუნველყოს ბრძანების ტექსტის ჩამოყალიბება ისე, რომ იგი  
რეალურად ასახავდეს დაკისრებულ მოვალეობას და შეესაბამებოდეს შესასრულებელ  
მოქმედებას (მიუთითოს ქალაქი, კონკრეტული დანიშნულების ადგილი და არა  
მხოლოდ ქვეყანა, ზუსტი ვადები) რაც ასევე გაადვილებს სადღედამისო ნორმისა და  
საცხოვრებელი ფართის დაქირავების ნორმის სწორ დაანგარიშებას;

8. ვინაიდან შპს „ცენტრალ თრეველი“ წარმოადგენს ავიაბილეთების მსხვილ  
მომწოდებელს (2010 წლის განმავლობაში სულ ამ კომპანიაზე გადარიცხულ იქნა 201,5  
ათას ლარი), სამინისტრომ გამართოს მოლაპარაკებები აღნიშნულ კომპანიასთან  
ავიაბილეთების ჯავშნის გაუქმებისა და თარიღების შეცვლის საკითხებთან  
დაკავშირებით.

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ  
სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

#### **2.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:**

საანალიზო პერიოდში, სამინისტროს ბუღალტრული ანგარიშგება სახაზინო  
სამსახურში წარდგენილი ჰქონდა ვადების დაცვით. წარმოდგენილი ინფორმაციის

საქართველოს კონტროლის პალატა

საფუძველზე, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს საბალანსო  
ანგარიშგებას შემდეგი სახე აქვს:

**ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგება 2011 წლის 1 იანვრისათვის**

ა/გ შენიშვნები	31.12.2009	31.12.2010
<b>არაფინანსური აქტივები</b>		
<b>წარმოებული აქტივები</b>		
მირითადი აქტივები	45,822,900.00	43,946,541.00
მატერიალური მარაგები	1,799,415.00	1,960,323.00
ფასეულობები	15,167.00	15,167.00
<b>სულ წარმოებული აქტივები</b>	<b>47,637,482.00</b>	<b>45,922,031.00</b>
<b>არაწარმოებული აქტივები</b>		
მიწა	44,939.00	44,939.00
<b>სულ არაწარმოებული აქტივები</b>	<b>44,939.00</b>	<b>44,939.00</b>
<b>სხვა დებიტორული დავალიანებები</b>	1	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,444,366.00	1,400,068.00
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	88,209.00	96,712.00
საგადასახადო მოთხოვნები	21,508.00	28,388.00
სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები	7,670,085.00	6,438,211.00
<b>სულ სხვა დებიტორული დავალიანებები</b>	<b>9,224,168.00</b>	<b>7,963,379.00</b>
<b>ფინანსური აქტივები</b>		
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	674.00	26.00
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	150,461.00	210,287.00
სავალუტო ანგარიში ბანკში	24,831.00	28,024.00
სხვა ანგარიშები ბანკში	210,370.00	210,370.00
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	3,267,074.00	1,374,989.00
სხვა ფინანსური აქტივები	20,200,000.00	50,137,329.00
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>23,853,410.00</b>	<b>51,961,025.00</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>80,759,999.00</b>	<b>105,891,374.00</b>
<b>კაპიტალი</b>		
წმინდა ღირებულება	72,505,174.00	99,584,740.00

საქართველოს კონტროლის პალატა

გაუნაწილებელი მოგება	163,036.00	386,571.00
დაუფარავი ზარალი	61,725.00	53,005.00
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>72,606,485.00</b>	<b>99,918,306.00</b>

**ფინანსური ვალდებულებები**

ვალუტა და დეპოზიტები	3	3,267,074.00	1,374,989.00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა		0.00	0.00
სესხები		0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი		0.00	0.00
სადაზღვევი ტექნიკური რეზერვები		0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		0.00	0.00

<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>3,267,074.00</b>	<b>1,374,989.00</b>
------------------------------------	---------------------	---------------------

**სხვა კრედიტორული დავალიანებები** 4

ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	231,466.00	253,209.00
საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე სხვა	712,752.00	680,189.00
ვალდებულებები		
მომუშავებთან და სტიპენდიანტებთან	638,003.00	610,987.00
დაკავშირებული ვალდებულებები	3,304,219.00	3,053,694.00
სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები		

<b>სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები</b>	<b>4,886,440.00</b>	<b>4,598,079.00</b>
---	---------------------	---------------------

<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>80,759,999.00</b>	<b>105,891,374.00</b>
--------------------------------------	----------------------	-----------------------

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

**N1 - სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები:**

2010 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მხარჯავ დაწესებულებას ერიცხებოდა 9 224,2 ათასი ლარის სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2010 წელს სხვადასხვა დებიტორული დავალიანება შემცირებულ იქნა 1 260,8 ათასი ლარით და წლის ბოლოსათვის სხვადასხვა დავალიანების ნაშთმა 7 963,4 ათასი ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დებიტორული დავალიანების როგორც გაზრდის, ისევე შემცირების ფაქტებს. კერძოდ, წლის განმავლობაში წარმოქმნილ იქნა

საქართველოს კონტროლის პალატა  
331,4 ათასი ლარის სხვადასხვა დებიტორული დავალიანება, თუმცა ამავე დროს ის  
შემცირებულ იქნა 1 592,2 ათასი ლარით.



#### N2 - სხვა ფინანსური აქტივები:

	ნაშთი 31/12/2009	20,200,000.00
<b>ზრდა</b>		
შპს „მექანიზატორი“	155,000.00	
შპს „მტკვარი-მ“	2,500,000.00	
შპს „სიონი-მ“	3,000,000.00	
შპს „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“	1,305,063.00	
შპს „კოლხეთი-მ“	60,000.00	
შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტერია“	20,000,000.00	
შპს „ალაზანი-მ“	100,000.00	
სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“	100,000.00	
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“	692,266.00	
შპს „ჯანმრთელობა 2010“	25,000.00	
შპს „სანი“	2,000,000.00	
<b>სულ აქციები და სხვა კაპიტალი:</b>	<b>29,937,329.00</b>	
<b>ნაშთი 31/12/2010</b>	<b>50,137,329.00</b>	


ზემოაღნიშნული თანხები წარმოადგენს 2010 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ მიერ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საზოგადოებებში ჩადებულ დამატებით კაპიტალს.

N2 - ფინანსური ვალდებულებები - ვალუტა და დეპოზიტები:

აღნიშნული თანხები წარმოადგენს სამინისტროს სადეპოზიტო კოდზე არსებულ ნაშთებს, სადაც განთავსებულია კონკურსებში და აუქციონებში (ბათუმის, სამინისტროს და სამხარეო რეგიონებიდან, ასევე ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების) მონაწილეობისათვის გადახდილი „ბეს“ თანხები.

N4 - სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები:

წლის დასაწყისში სხვადასხვა კრედიტორული დავალიანების სახით, მხარჯავ დაწესებულებას ბალანსზე ერიცხებოდა 4 886,4 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ის შემცირდა 288,4 ათასი ლარით და წლის ბოლოს 4 598,1 ათასი ლარი შეადგინა. ამ შემთვევაშიც წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა კრედიტორული დავალიანების როგორც გაზრდას, ასევე შემცირებას. კერძოდ, წლის განმავლობაში წარმოქმნილ იქნა 42,4 ათასი ლარის სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები. თუმცა, ის ასევე შემცირებულ იქნა 330,7 ათასი ლარით.



3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა

### 3.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება, რომლის განხორციელების შედეგადაც უნდა მომხდარიყო პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრების ობიექტებში ინვესტიციების მოზიდვა და მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების ზრდა. ამასთან, როგორც სამინისტროს მიერ შედგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიდან ირკვევა, აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელების შედეგად შეიქმნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მონაცემთა ბაზის პროგრამა, განხორციელდა რიგი საწარმოების პრივატიზება, შერწყმა, ლიკვიდაცია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა და ა.შ.

თუმცა, ანალიზით დადგინდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვა განხორციელდა ან რა რაოდენობის სამუშაო ადგილები შეიქმნა და ა.შ.

### 3.2. რეკომენდაციები:

1. სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშში ასახოს ყველა მოსალოდნებლი შედეგი;
2. სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების მოთოვნათა შესრულებას, რის განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და სხვა სფეროების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციით საზოგადოებისა და ხელისუფლების უზრუნველყოფა.

საქართველოს კონტროლის პალატა

ნაწილი - IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

აუდიტორები:


ჯგუფის ხელმძღვანელი

ირაკლი გოდუაძე



23/06/2011  
ხელმოწერა თარიღი

თამარ ფიცხელაური



23.06.2011  
ხელმოწერა თარიღი